ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

2015 წლის 7 სექტემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №16 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/07/2014, 010250020.35.158.016161) დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ვ) არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თამაზ ჟორჟოლიანი